№ 11

კვირა, 16 იანვარი 1894

1877—1894

# ივერია

№ 11

კვირა, 16 იანვარი 1894

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

**იაგორ გურგენის ძე მამინაიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა საყვარელის მეუღლისას თვისისას **მარიამისას** და სთხოვს მობრძანდნენ ცხედარის განსასვენებლად, დღეს, კვირას, 16 იანვარს, დილის 9 საათზედ, სასტუმრო „პურ-ღვინოდგან“ კალოუბნის ეკლესიაში, საიდგანაც წასვენებული იქნება კუკიის სასაფლაოზედ დასაკრძალავად. (1—1)

**თინათინ სოლომონის ასული, ეგნატე და ივანე მამუკას ძენი ხრამელიშვილნი, სოფიო მამუკას ასული და გიორგი აბრამის ძე ხუციშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი მეუღლის, მეორენი მამის და უკანასკნელი სიმამრის **მამუკა ეგნატეს ძის** გარდაცვალებას.

მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 16 იანვარს, დილის 10 საათზედ კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში. (1—1)

**ნიკოლოოზ, ზაქარია, ქრისტეფორე, კონსტანტინე, გიორგი იოსების ძენი მამაცაშვილები დებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა, დეისტვიტელნი სტატსკი სავეტნიკის ქვრივის ნინო **კონსტანტინეს ასულის მამაცაშვილისას.**

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 14 იანვარს საღამოს 7 საათსა, 15-ს დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ 16 იანვარსა, დილის 10 საათზედ პირველ თუმანოვის ქუჩიდგან სახლი № 24 ალექსანდრე ნეველის კუკიის ეკლესიაში და იქიდგან რკინის გზის სადგურზედ წაასვენებენ სოფელ რუისში წასაღებად და დასაკრძალავად. (2—2)

**„ივერია“**
გამოვა 1894 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 19 იანვარს,
ბ ე ნ ე ფ ი ს ი
**დ. მ. აწყურელისა**
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ბ. ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანისა და ტუჩიაშვილის მონაწილეობით:
წარმოდგენილი იქნება:

I
**დრონი მეფობენ**
დრ. 5 მოქ. გულისაშვილისა.

II
**დივერტისმენტი**
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ

ვაცნობებ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება დანიშნულია ამა 1894 წლის მომავალს მაისის თვეში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის ამსრულებელი პოდპოლკოვნიკი თავ. ბებუთაშვილი. (3—3)

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი იმათ, რომელთაც წერილებით გამოჰხადეს ნუგეში და თანაგრძნობა გარდაცვალებისა გამო მეუღლისა ჩემისა კნეინა სოფიო ალმასხანის ასულისა.

თავადი კონსტანტინე დავითის ძე წულუკიძე

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება დანიშნული კვირას, ოცს თებერვალს, დილის 11 საათზედ, ტფილისის კეთილ-შობილთ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. ამსრულებელი ტფილისის მაზრის კეთილ-შობილთ წინამძღომლის თანამდებობისა მიხეილ პეტრეს ძე ისარლოვი აუწყებს იმ თავად-აზნაურთ ტფილისის მაზრისას, რომელთაც აქვთ უფლება, ამ კრებაში არჩევანებში მონაწილეობა მიიღონ, მობრძანდნენ ზემო აღნიშნულს დროს და, ვიდრე კრება დაიწყებოდეს, წარმოადგინონ საბუთნი თავიანთ უფლებათა, თანახმად კანონისა მე-104 მუხლისა, რომელიც მოთავსებულია 1876 წელს გამოცემულ მეცხრე ტომში. (3—1)

## ტფილისი, 16 იანვარს

—

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ამ 20-ს იანვრისათვის დაუნიშნავს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, „რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შეცვლისა, რათა ეხლანდელ საზოგადო კრებათა მაგიერ შემოღებულ იქმნას არჩევანები მათი, რომელნიც უნდა დაესწრნენ ხოლმე ბანკის კრებას მის სხვა-და-სხვა საქმეთა განსახილველად“.

დღეს აქამომდე ყოფილი წესი, რომლის ძალითაც შესდგებოდა ხოლმე ბანკის საზოგადო კრება, ნება და უფლებას აძლევდა ყველა წესიერ ცენზის პატრონს ბანკის წევრს თითონ დასწრებოდა კრებას და მიეღო მონაწილეობა როგორც ბანკის საქმეთა განხილვაში, ისეც გადაწყვეტაში. ამ სახით აწ არსებულის წესით თვითვეულს ამისთანა წევრს სარჩევი და გადამწყვეტელი ხმა ჰქონდა კრებაში.

ეხლა, როგორც ეტყობა, განუზრახავთ ეს ფართო უფლება ცოტად თუ ბევრად შემოზღუდონ და ვიწრო ფარგალში მოაქციონ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ეს შემოკლება უფლებისა საჭიროდ დაუნახავს თვით ფინანსთა სამინისტროს და წინადადება მიუცია ბანკისათვის, რომ საზოგადო კრება ბანკისა ამას იქით შედგენილ იქმნას არა ცენზის პატრონ წევრთაგან, არამედ მათ წარმომადგენელთაგან, რომელნიც ამორჩეულ უნდა იქმნენ წევრთა კრებისაგანაო.

რა თქმა უნდა, რომ ეს ამისთანა განკარგულება სამინისტროსი გამოწვეულ იქმნება იმ არევ-დარევისა და ურიგობისაგან, რამაც ამ ბოლო ხანებში ასე სამწუხაროდ ჩვენდა იჩინა თავი ბანკის კრებებზედ ქუთაისში. ერთმანეთის წეწვა-გლეჯა ამ კრებებში, გამწვავება შენ-ჩემობისა, საოცრად გამოსვლა კერძო ინტერესებისა და ამის გამო დას-დასად დარღვევა და განაწილება საზოგადოებისა, ერთმანეთის გადაკიდება, მტრობა, გაუტანლობა და ათასი სხვა ვაი-ვაგლახი, ბოლოს იქამდე მისვლა, რომ საჭიროდ დანახულ იქმნა კრების ღირსების დასაცველად პოლიციის და ადმინისტრაციის მოწვევა,—ყოველივე ეს ისე არ ჩაივლიდა, რომ მთავრობას ყურადღება არ მიექცია და რაიმე ღონე არ ეღონა.

ამ არევ-დარეულობას რომ სარჩულად მაინც ბანკის საქმეთა სიყვარული და სიკეთე სდებოდა, კიდევ ადამიანი ასე თუ ისე შეიწყნარებდა. უბედურება ის იყო, რომ შენ-ჩემობა თავის უკადრისს ფრთასა ჰშლიდა გარყვნად და წაწყმედად საქმისა, დასამხობლად ზნეობისა, წასახდენად ხასიათისა. აშკარად სჩანდა, რომ საზოგადო საქმე, როგორიც ბანკია, სულ დავიწყებულ იქმნა. იგი მტლად დაედო და ფიანდაზად გაეშალა ცალკე კაცის წუწურვილსა და სურვილსა.

ამის დასამტკიცებლად შორს ძებნა საბუთისა არ მოგვინდება, აბა გაიხსენეთ საზოგადო კრებანი ქუთაისის ბანკისა, თუ თვალ-წინ არ აგეტუზოთ ამისთანა მართლა რომ დაუჯერებელი და უცნაური ამბავი. ყოველი კრება ბანკისა, როგორც მოგეხსენებათ, დაიწყება ხოლმე ყოვლთ უწინარეს ბანკის საქმეთა განხილვითა: ჯერ ყველაზე წინად იმისთანა საგანსა სინჯავს ხოლმე კრება, რომელიც ასე თუ ისე არსებითს საჭიროებას ბანკისას შეადგენს და რომლის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტა ბანკის ბედს შეეხება. ვიდრე ეს არსებითნი საჭიროებანი ბანკისა ისინჯება კრებაში, კრებაზე ასი—ას ოცი, თუ მეტ-ნაკლები წევრი ძლივს მოდის და რაკი არჩევანზე მივა საქმე, მაშინ ნურც ხუთას-ექვსასი კაცი გშურთ. რას მოასწავებს ეს, თუ არ იმას, რომ ბანკის გულ-შემატკივარი მეტად ცოტაა, რომ თითონ ბანკს იმოდენად ყურს არ უგდებენ და თავის მხნეობას მარტო მაშინ იჩენენ, როცა ,,მე თუ შენ'' დადგება ხოლმე მოედანზე მთელის თავის უგემურობითა.

განა ეს ამბავი იმის მომასწავებელი არ არის, რომ ამ შემთხვევაში ხალხი მორეკილია, ასე თუ ისე განგებ მოგროვილი და მობირებულია კერძო კაცის ოსტატობით, გაძვრენ-გამოძვრენით, და არა თითონ მოსულია საზოგადო საქმის სიყვარულით და გულის ტკივილითა. რა თქმა უნდა, ამისთანა კრება ვერას დროს ვერ დადგება იმ სიმაღლეზედ, საცა მარტო საზოგადო საქმის სიყვარული და გულის-ტკივილი საქმობს და ჰმართავს თვით საქმის სვე-ბედას.

აქ, ჩვენის ფიქრით, დანაშაული ის წესი-კი არ არის, რომელიც თვითვეულს ცალკე წევრს ბანკისას ხმას აძლევს კრებაში, არამედ ის გაიძვერაობა, ის ეშმაკური ოსტატობა, ის უკადრისი ღონისძიებაა, რომელსაც არა ჰთაკილობენ ჩვენში ისინი, ვისიც მრწამსი ის არის, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ გაიძვერაობას, ამ ეშმაკობას უნდა ეწამლოს რამე, უნდა კრიჭა შეეკრას, უნდა კარი ამოეგულოს, რომ კარში ფეხი არ გამოდგას. ამას, ჩვენის ფიქრით, მთელის საზოგადოების თვალი და ხელი უფრო შესძლებს, ვიდრე სხვა რამე.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად გასწმენდს და გაათაქიზებს ჩვენს მოღვაწეობას საზოგადო სარბიელზე იმისთანა კრება, რომელიც შედგენილ იქნება საზოგადოების რჩეულთაგან. უწესობას და ურიგობას, არა გვგონია, ამ რჩეულთა კრებისაგან ბევრი რამ ეწამლოს. ტფილისის საკრედიტო საზოგადოება ცხადი მაგალითია იმისი, რომ ეს რჩეულთა კრებაც ვერაფერი ციხე სიმაგრეა, ვერაფერი ფარ-ხმალია უწესობისა და ურიგობის მოსაგერებლად. ბევრს-კი ჩვენში იმედი აქვთ, რომ ეს რჩეულთა კრება ერთად-ერთი ღონეა, რომ ჩვენს საზოგადო საქმეს ეშველოს რამე და წესიერი სვლა იქონიოს. ძნელია ხელაღებით თქმა, რომ რჩეულთა კრების შემოღების სურვილს თავისი პატივსადები საბუთი არა ჰქონდეს, რაკი შესაძლოდ გახდა ჩვენში განგებ მორეკა წევრთა კრებაში და არა მათის საკუთარის სურვილით მოსვლა, საქმის სიყვარულით გამოწვეული. დრო და მაგალითი ქუთაისის ბანკისა დაგვანახვებს რჩეულთა კრება რამოდენად დაედება წამლად ამ ჩვენს ახლად შემოსეულს ჭირსა.

დღეს-კი ქუთაისის ბანკის შესახებ მეტია იმაზე ლაპარაკი,—აწ არსებული წესი სჯობია, თუ ახლად განზრახული. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის განცხადებიდამა სჩანს, რომ ახლად განზრახულის წესის დადგენა გადაწყვეტილი საქმეა და მხოლოდ საჭიროა იმის პროექტის შედგენა თუ—როგორ და რა გზით მოხდეს ეს რჩეულთა არჩევანი.

ყველაზე უწინარეს გამოსაძიებელი აქ ის არის, რომ ამ პროექტის შესადგენად ბანკის საზოგადო კრებაა მოწვეული, თუ თავად-აზნაურთა? სჩანს, თავად-აზნაურთა კრებაა, თორემ თუ ბანკისა ყოფილიყო, ბანკის მოხელეობას უნდა მოეწვია კრება და არა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. თუ ესეა, მაშინ თავად-აზნაურთა კრება როგორ შესცვლის წესდებას ბანკისას, ესე იგი, იმისთანა დაწესებულებისას, რომელიც სულ სხვა კრებას ექვემდებარება? არ ვიცით, ამ მხარეს საქმისას როგორ აუქცევს გზას მოწვეული კრება თავად-აზნაურთა, ხოლო უნდა ვიგულისხმოთ, რომ რაკი მიწვეულია, სჩანს საბუთი რამ იქნება.

ესეა თუ ისე, აწ მიწვეულმა თავად-აზნაურობამ უნდა შეადგინოს

პროექტი რჩეულთა კრების დასაწესებლად სამაგიეროდ აწ არსებულ წევრთა კრებისა. რაკი გადაწყვეტილია, რომ რჩეულთა კრება უნდა უსათუოდ იქმნეს, ეხლა მარტო ის და დაგვრჩენია ჩვენ ჩვენი აზრი ვსთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზით მოხდეს რჩეულთა არჩევანი. ჩვენ აქ, რასაკვირველია, არ გამოვუდგებით ყოველს წვლილს ამ საქმისას, ჩვენ მხოლოდ, ჩვენის შეძლებისამებრ, აღვნიშნავთ უმთავრესს საგნებს.

ჯერ ყველაზე უწინარეს უნდა გამოირკვას რამდენი რჩეულია საჭირო, რომ წარმომადგენლობა საკმაოდ ვრცელი იყოს. ჩვენა გვგონია, საკმაო იქნება ორასი რჩეული. ეს ორასი კაცი უნდა განაწილდეს თანასწორად თვითეულ მაზრისათვის, ასე რომ თვითეულს ცალკე მაზრას თანასწორი რიცხვი შეხვდეს, არც მეტი სხვაზე და არც ნაკლები. თუმცა შესაძლოა, რომ თვითეულმა მაზრამ ცალკე ამოირჩიოს თვისი წარმომადგენელნი, მაგრამ უკეთესი იქმნება, რომ არჩევანი რჩეულთა მოახდინოს ხოლმე საზოგადო წევრთა კრებამ ქუთაისში იმ კანდიდატთაგან, რომელსაც თვითეული ცალკე მაზრა წარმოადგენს. რჩეულნი უნდა არჩეულ იქმნენ სამის წლის ვადით და მაშასადამე ამ არჩევანებისათვის სამს წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს ქუთაისში საერთო წევრთა კრება. ყოველს ცალკე წევრს ბანკისას ნება უნდა ჰქონდეს დაესწრას რჩეულთა კრებას, მიიღოს მონაწილეობა საქმეთა განსჯისა და განხილვის დროს, თავისი აზრი სთქვას, ერთის სიტყვით, ეგრედ წოდებული „სარჩიელი ხმა" (Совѣщательный голосъ) იქონიოს.

ეს ჩვენი აზრი იქნება ვერ მოუხდეს ადგილობრივს გარემოებას და რა თქმა უნდა ადგილის კაცნი უკეთ მოაწყობენ და უკეთ შეუფერებენ ამ ახალს წესს საქმისა ვითარებას და იმ მიზეზს, რომელმაც ამ ახალის წესის შემოღება საჭიროდ გახადა. ჩვენი სურვილი მარტო ეს არის, რომ ახალმა წესმა მეტად არ შეჰხუთოს სისრულე საერო გუბერნიის წარმომადგენლობისა ბანკის საქმეში და ამ გზით ცოტაოდნად მაინც შერჩინოს ბანკის კრებას ის ზოგადი მნიშვნელობა საერთო კრებულისა, რომელიც დღეს აქამომდე ჰქონდა და რომელიც სასურველია კვლავაც ჰქონდეს.

## ახალი ამბავი

*** გუშინ წინ, 14 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ე. ა. ჩერქეზიშვილის ასულის საბენეფისოდ წარმოადგინა ოთხ-მოქმედებიანი ახალი დრამა „ხაფანგი", ბ-ნის მეველესი, კომედია „ადვოკატთან", და დივერტისმენტი იყო გამართული. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. დივერტისმენტში ბ-ნმა ტყვიაველმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა ჩვეულებრივის მოხდენილობით. დასასრულ ლეკური ითამაშეს ქ-ნმა მებენეფისემ და ბ-ნმა აწყურელმა. პიესის და არტისტების შესახებ ჩვენს აზრს შემდეგ გამოვთქვამთ.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს: შიო დედაბრიშვილმა — ყირიმში ნაპოვნი ძველი ბერძნული ფული ცხრა ნაჭერი და ერთი თიხის საჭრაქე; თავადმა დიმიტრი ნაკაშიძემ — ქართული ლექსიკონი საბასულხან ორბელიანისა (ხელთნაწერი) და ბერძნული სახარება, დაბეჭდილი 1818 წელსა; კნ. ნინო ლუარსაბის ასულმა თარხნიშვილმა — მიძინება ღვთის მშობლისა (ხელთნაწერი), და ზაქარია ივანეს ძემ ჩხიკვაძემ ქართული სახარება, დაბეჭდილი მხედრულად პეტერბურგში 1818 წელს.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** გუშინ, 15 იანვარს, ბათუმიდგან ბაქოში გაჰგზავნეს 18 ფუთი და 39 გირვანქა ვერცხლი, 10,500 მან. დაფასებული.

*** მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა რვა ხმის ყველა „უფალო, ღლად ვყავ", ბ-ნ ფილიმონ ქორიძის მიერ ნოტებზედ გადაღებული ბ-ნთ დუმბაძეთა დახმარებით.

*** ტფილისში წისქვილები აღარ მუშაობს, რადგანაც მტკვარი სრულიად გაიყინა...

*** ავჭალიდგან მილის წყალი არ მოდიოდა, წყალი ძალიან გაძვირდა ტფილისში. თითო ვედრა მტკვრის წყალში ხუთ-ექვს კაპეიკს იღებდნენ მედუქნეები მთაწმინდაში. ამ დროს ზოგიერთა წყლის მზიდველებმა დაანებეს თავიანთს მუშტრებს თავი. წყლის მზიდველი ფარნით უნდა გეძებნათ და, რომელიც-კი შეგხვდებოდათ, მეტი ღონე არ იყო, უნდა სამი-ოთხი შაური მიგეცათ ერთ ზურგს წყალში. ხან-და-ხან ამ ფასათაც ვერ მოატანინებდი წყალს რომელსამე წყლის მზიდველს, რომელიც გეუბნებოდა: ჯერ თქვენთვის არა მცალიანო. უწყლობამ საქმე გაუჭირვა არა მარტო იმათ, რომელნიც მაღლობ ადგილებში სდგანან, არამედ იმათაც, რომელნიც კუკიაჩუღურეთში სცხოვრობენ.

*** ამ სამის წლის წინად ს. ხაშურში აბათაძეს ბავშვი დაებადა, რომელსაც ცალი ხელი და ფეხი მუხლებ ქვევით არ დაჰყვა. ამ ჟამად ეს ბავშვი ცოცხალია, იზრდება, მშვენივრად ლაპარაკობს და ოჯახში ყველას ძალიან უყვარს, რადგანაც სახით ლამაზია ეს ბუნებით დაჩაგრული ყმაწვილი.

*** ირკუტსკიდამ მოგვივიდა შემდეგი სამძიმრის დეპეშა: ირკუტსკში მცხოვრებმა ქართველებმა ეს ეს არის ეხლა შევიტყეთ თქვენის გაზეთის შემწეობით, რა დასაკარგი დაუკარგავს ჩვენს სამშობლო ლიტერატურას: გარდაგვცვლია შემოქმედი „ელგუჯასი" და „მოძღვრისა", გთხოვთ ჩვენი მწუხარება ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო შეუერთოთ ჩვენთა თანამემამულეთა და ჩვენის შორეულის, საყვარელის სამშობლო ქვეყნის საერთო მწუხარებას.

*** დარუბანდი: ამას წინად შემდეგი ამბავი მოხდა აქ: ერთმა აქაურმა ვაჭარმა თათარმა ორი ნავი დატვირთა ხახვით, რომელიც ბაქოში უნდა გაეგზავნა. მოახლოვდა თუ არა გემი, მაშინვე ერთი ნავი მისკენ გაექანა საქონლის მისატანად და დიდის ვაი-ვაგლახით მივიდა, რადგანაც ამ დროს ზღვამ მეტის-მეტად დაიწყო ღელვა. ცარიელი ნავი უკან დაბრუნდა, მაგრამ ისე ჩქარა გამოაქანა იგი აღმოსავლეთის ქარმა, რომ მისი გადარჩენა საეჭვო იყო. სწორედ ამ დროს მეორე ნავი, ხახვითვე დატვირთული, წინ შეხვდა პირველს. ძალზე გაქანებულმა ცარიელმა ნავმა გვერდის აქცევა ვერ მოასწრო და ცხვირით დაეჯახა დატვირთულ ნავს. უკანასკნელი ერთბაშად შემოტრიალდა; ამ დროს ადიდებულმა ტალღამ მოასწრო, დაჰკრა ზემოდამ და ერთიანად აავსო წყლით. ნავი წყალმა დასძირა. პირველი ნავი მშვიდობიანად მივიდა თავის ადგილას ისე მალე, რომ მეორე ნავის მუშებს ვერც-კი მიეშველა, რადგანაც ტალღებმა გაიტაცეს.

დაძირულ ნავიდამ მენავეები გადმოხტნენ, მოუსვეს ნაპირისკენ და მშვიდობიანადაც გამოვიდნენ, რადგანაც წყალი ისე ღრმა არ იყო. იმ ღამეს ზღვის ტალღებმა გამორიყეს როგორც ნავი, აგრედვე ხახვით სავსე სველი ტომრები. ხუთას ფუთამდე ხახვი გაფუჭდა, რადგანაც ცივმა წყალმა ღამის განმავლობაში დაალბო მეტის-მეტად და ნაპირზე გამოტანის შემდეგ ყინვებმა დააზრო.

*** სოფ. საქარა (შორაპნის მაზრა): გუშინწინ, 11 იანვარს სოფ. საქარაში მიუხტნენ ყაჩაღები ერთ აქაურს მცხოვრებელს. საწყალს ოცის თუმნის ღვინო გაეყიდნა და ის ფული ყაჩაღებმა სულ ერთიანად წაართვეს. წაიყვანეს აგრედვე ერთი ცხენი. ყაჩაღები გადიკარგნენ.

*** სააბაშიო: შარშან ღვინობისთვეში ტეზრისა და ქვიშხეთის სამამასახლისო ერთად შეერთდა. ამ საზოგადოებამ, რიცხვით ათასმა კომლმა, მოიყარა თავი სოფ. ტეზერში და თავის მამასახლისად ამოირჩია გლეხი ბალდო ბეროზაშვილი. ბოქაულმა ურჩია ყრილობას, ვინმე სწავლული კაცი აერჩიათ გლეხებს იქ დამსწრე აზნაურებში. მაგრამ გლეხებმა ცივი უარი სთქვეს, რადგანაც სოფლის მცოდნე, სწავლული, გამოცდილი აზნაურნი ამ დროს სახლებში დამალულიყვნენ და იქ დამსწრე აზნაურებში-კი გლეხები დასახელებულ ბალდო ბეროზაშვილზედ უკეთესს ვერა ჰხედავდნენ.

*** კავკავი: ამას' წინად გაცნობეთ, რომ აქ ერთის ოსის გვარად ცალოევის სახლში აღმოაჩინა პოლიციამ მრავალი სხ.-ძ-სხ. ძვირფასი ნივთი სხ.-ძ-სხ. დროს მოპარული-მეთქი. ამ ოჯახში მამა და შვილი აღმოჩნდა და ორივე დააპატიმრეს; შვილი რაღაც მოხერხებით საპყრობილედგან გამოპარულიყო, ეშოვნა ბერდანის თოფი, რევოლვერი და სხვა იარაღი და კავკავის განაპირას, ერთის ოსის სახლში იმალებოდა თურმე. ეს ამბავი შეუტყო პოლიციამ ცალოევს და ამ თვის პირველ რიცხვებში, შუადღისას, იმ დროს, როცა ცალოევი შექცევაში იყო კარგად გადაკრული თავის მასპინძელთან გაშლილ სუფრაზედ და გვერდით ბერდანის თოფი ეყუდა, პოლიციელთ უეცრად სახლის კარები შეამტვრიეს, ცალოევი შეიპყრეს და ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირზედ მიაყენეს; ამ ნაირად დამტვრეულ-დაბეგვილი წაიყვანეს პოლიციაში. ხმა დადის, ცალოევს სამხედრო სამართალში მისცემენო.

კავკავში ამ ჟამად გაძლიერებული ინფლუენცა არის.

*** ბესლანის სადგური: დეკემბრის მიწურულებში აქ მოხდა ერთი საცოდაობა: ღამის ცხრა საათზედ, როცა მატარებელი კავკავიდგან მოვიდა და გადაუხვია პეტროვსკის გზაზედ, ამ დროს გამოსულიყო და სადგურის წინ დასეირნობდა ტელეგრაფის მოხელე ქალი მარიამ გლუხოვი. მატარებელმა მოასწრო, წაიგდო ქვეშ, ორივე ფეხები კოჭებში მოჰგლიჯა და მერე გაითრია და მთლად დაჩეჩქვა. საბრალომ მაშინვე განუტევა სული. ამბობენ, ვითომ რაღაც მიზეზის გამო ქალმა ძალად ჩაიგდო თავი მატარებელს ქვეშაო.

*** ბარის ოსეთი: ამ ჟამად საშინელი გაძნელებული ინფლუენცა მძვინვარებს, ბარის ოსებში; ერთს ადამიანს ვერა ჰნახავს კაცი, დიდსა თუ პატარას, რომ ამ სენისაგან არ იყოს ავად, ზოგნი ორ-სამ კვირას ენა ჩავარდნილნი არიან სიცხის გამო და ხმას ვერ იღებენ. ბევრნი რჩებიან, ხოლო ბევრნი იხოცებიან კიდეც.

*** ჯავახეთი: წელს რაღაც

## ფელეტონი

### სამაზრო სამართველოში

(სურათი)

დილის ცხრა საათია. ყველა მოხელე თავის ადგილზეა და გულმოდგინედ ებრძვის სამწერლო ქაღალდს. წვრილფეხობა ასე გატაცებულ მუშაობაშია, უფროსი-კი ჯერ არსადა სჩანს.

სამართველოს დერეფნის მარცხენა ოთახში უფროსის თანაშემწე მდივნითურთ გაჩუმებული ქაღალდებს ფურცლავს. ეს ოთახი უფრო განკარგულების და საიდუმლოების მცველია და... სჯობს ისევ პირდაპირ დარბაზში შევიხედოთ ცალის თვალით... ფრთხილად-კი, თორემ შიგ შესვლა-შეხედვაც-კი ნება-დაურთველად აკრძალულია... ლოდინი აივან-დერეფანშია ნაბძანები. ზამთრის სიცივეც - ყინვაც-კი არაფერი მაზიანებელია თურმე მთხოვნელთათვის...

დარბაზის შესავალ კარების ორივე მხარეს თარჯიმნები მოუთავსებიათ... ეს მეტის-მეტად მოხერხებული მოწყობილობაა რა-კი დარბაზში ფეხს შესდგამ, თარჯიმნები შემოგეშველებიან და მაშინ დაუბრკოლებლივ შეგიძლიან თამამად მიიხედ-მოიხედო. მხოლოდ... ერთი თარჯიმანი ოფლის წმენდით ქართულ ხელთ ნაწერს სთარგმნის. სახე შეუჭმუხნია, თვალები უაზროდ დაუჭყეტია და მოუთმენელის დედამთილივით ბუტბუტებს. საწყალო, ქართულის დამწერო! სიბერისაგან გაავსულებული დედამთილი რამდენ მწარე წყევა-კრულვას გიძლვნის. რათა? იმიტომ, რომ შენ კარგად აღგინიშნავს შენის გულის პასუხი გულისავე სიღრმიდგან ამონახეთქი ნაკადულის წყალობით და ეს-კი ოფლს იწმენდს, ვერ გაუგია შენის გულის პასუხი, შენი სიტყვა და ამაში შენვე გდებს ბრალს. ამ გაავკაცებულ დედამთილის მოპირდაპირე თანამეკალმე უფრო დინჯად ებრძვის სამწერლო ქაღალდის სიფართოვეს და გაჩქარებული სცდილობს ქაღალდის ყოველი კუთხე შავად დაჰკვალოს... ან განა გასამტყუნარია? სითეთრე-სისპეტაკე რა სახმარი და გამოსადეგია ეხლანდელ დროში?... აი დააკვირდით იმის კალმის ნავარდს ქაღალდზე! რა სიმრუდით იხაზება, რა წარბ-შეუხრელად ნადგურდება ქაღალდის სისპეტაკე! ნამდვილი თარჯიმანია და ესეც თავის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს თეთრს აშავებს, სწორეს — აბრუნდებს, და, რაკი ამ გვარად მომართულს კალამს ბოლომდის გაიტანს, თავ-მოწონებით აწერს: „ნამდვილთან სწორეაო"...

რაკი თარჯიმნები გავიცანით, ეხლა სრული ნება გვაქვს დარბაზში მყოფ სხვა მოხელეთაც თვალი გადავავლოთ. დარბაზის აღმოსავლეთ კუთხეში სავარძელში ფეხებ-გადაჯვარედინებული საქმის მწარმოებელი გადაზნექილა... გაჭარხლებული სახე მოუქუშია, დიდი ქერა ულვაშები გაუწკეპია და თავის პაპიროსის ბოლის ტრიალს დაკვირვებით თვალს ადევნებს; წინ მაგიდაზედ-კი აუარებელი ქაღალდები შეუკრებია. უცებ, თითქო თუთუნის ბოლში ამოიკითხა რამეო, გაჰკრა ხელი მაგიდაზე შეგროვილს ქაღალდებს, სტაცა ხელი კალამს და საცოდავად დააწყებინა წრიპინი. კაციც ესა ყოფილამეთქი!.. ნათელი მისთვის მტერია და დღევანდელი მშვენიერი კაშკაში დღე იმის ტვინს საზრდოს არ აძლევდა... ამიტომ უმარჯვებდა თუთუნს... თუთუნის ბოლით დღის სინათლეს ჩრდილს აყენებდა და ჯანყში ამონაკითხს აზრებით ამკობდა ქაღალდებს... აი ნამდვილი მოხელე-მეთქი, ვიფიქრე და მეორე მხარეს გადავიხედე. მეორე მხარეს თავისავით მომცრო მაგიდაზე მეორე საქმის მწარმოებელი თავ-ჩაკიდული გაჩქარებითა სწერს. საქმეს ისე გაუტაცნია, რომ სრულიად არა ჰხედავს, არც-კი ჰგრძნობს რომ ამ დარბაზში იმის მეტი კიდევ არის ვინმე. ხანდახან-კი, წერის დროს, თავის მემარჯვენე თანაშემწეს გადაჰხედავს ხოლმე. მისი თანაშემწეც, ერთგული თავის მოვალეობისა, დიდის მოწიწებით გაშტერებული დაჰყურებს და ჰფურცლავს დიდ დავთრებს და სადაც-კი დაუწერავ ფურცლის კუთხე-ნაპირს შეჰხვდება, აჩქარებული სწერს. ამ დარბაისელ თანაშემწის გარეგნობა — სახის მეტყველება, თვალების მიმოხვრაცკი უტყუარი ნიშანია, რომ საქმიანობსკი, მაგრამ საქმისა იმოდენა გაეგება, რაცმე და შენ, მკითხველო, ველურთა ენისა... მაინც საქმიანობას ცდილობს, რომ უფროსმა დაინახოს მისი ერთგულება და ყოველ თვის 20-ს გროშები ჩაიჩხრიალოს ჯიბეში... დარბაზში ოთხიოდე წვრილ-ფეხი გადაწერნიც ებრძვიან სამწერლო ქაღალდის სითეთრეს. ესენი, უხმოდ, ქედმოხრილნი ასრულებენ უფროსთა ბრძანებას... მაგრამ დავანებოთ სამართველოს დარბაზს თავი და ისევ დერეფანში გავიდეთ, თორემ დარბაზის დაობებულ დავთარ-ქაღალდებისაგან მოწამლული ჰაერი ჩვენც ხეირს არ დაგვაყრის.

დერეფან'ში კარგა ბლომა ხალხს მოეყარა თავი. ყველას უფროსთანა აქვს საქმე და იმის ლოდინშია არიან.

— რისთვის გასჯილხარ, ვკითხე შორით მოსულს გლეხს.

— რა საკითხია, ბატონო! განა ცოტა საჭირ-ბოროტო საქმე გვაწევს კისერზედ? მიპასუხა გლეხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური ზამთარი დაგვიდგა. უწინ ისეთი დიდი თოვლი იცოდა და ისეთი ქარი და ბური, რომ მთელ სოფელს წანაჰქრიდა და წამარხავდა. ღამით იმოდენა თოვლს წააყრიდა ხოლმე სახლებს, რომ კარებს მთლად ამოქოლავდა და ვინც მეორე დილით მოახერხებდა გარედ გამოსვლას, ისინი წამარხულ მეზობელს, თოვლის ხვეტით კარს უღებდნენ. წელს-კი ჯერ აქამომდე რიგიანი თოვლი არ მოსულა და ქალაქ ახალქალაქში მარხილებით სიარული გაჭირებულია უთოვლობით. სიცივეც უწინ 10—18$^0/_0$ იცოდა და წელს ათ გრადუსამდენაც ჯერ არ ასულა. თუმცა ნათქვამია მარტი და აპრილი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ, ნურც აძაგებო, მაგრამ ეს მოვლენა ჯავახეთისთვის მაინც მართლა რომ საყურადღებოა.

*** ახალ-ქალაქი: ჩვენს ქალაქში ქართველი მოზარდი თაობა სწავლა-განათლების მხრივ ძრიელ ცუდ მდგომარეობაშია. ვაჟებისთვის ოთხ-კლასიანი სამოქალაქო სკოლა არსებობს, სადაც ქართულ ენას სრულებით არ ასწავლიან, თუმცა ოცდაათამდე არიან ქართველნი მოსწავლენი. რაც შეეხება ქალებს, მთელი მოზარდი თაობა მთლად უანბანონი რჩებიან, რადგან არავითარი სკოლა მათთვის არ არსებობს და ამოდენა ხალხი, მდედრთა სქესი, ისევ იმისთანავე უფსკრულშია და სიბნელეშია, როგორც ამ სამოცის წლის წინად ოსმალების ხელში იყვნენ. სწორედ სამწუხაროა ჩვენის მოზარდის თაობის ამ გვარი მდგომარეობა, მაგრამ ვინ არის პატრონი და გულის შემატკივარი? ამ შემთხვევაში მხოლოდ სასულიერო მთავრობას შეუძლიან ქრისტიანული შემწეობა აღმოგვიჩინოს და გამოგვიხსნას გაჭირებიდგან, მაგალითად, განა ვერ მოხერხდება აქაურ ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა გაიმართოს?

სასულიერო მთავრობამ წელიწადში რომ ათი თუმანი (სუბსიდია) დაუნიშნოს, დანარჩენს ხარჯს ადგილობრივი კომიტეტი, როგორც იქნებოდა, გაისტუმრებდაო.—სამოქალაქო სკოლის სასწვლებლებსაც არა ერთხელ გამოუთქვამთ თავიანთი თანხმობა და მზად არიან ამ კეთილ საქმეს თითო-ოროლა საათი თავის შრომისა უსასყიდლოდ შესწირონ. მაშასადამე ენერგიული მოთავე-და გვაკლია, თორემ ძალა აღმართს ყოველთვის ადვილად მოხნავს. ადგილობრივი მღვდელიც მამა ჩიტაძე თავის სახლში ჯერ-ჯერობით ერთ ოთახს მუქთად უთმობს სკოლას, თუ-კი მოხერხდება რამე.

*** გაზ. „Кавказъ“-ს ცნობა მოსულია ინგლისიდგან, რომ საქართველოს ცნობილ მცოდნეს Olivier Wardrop-ის და ქ-ნი Wardrop-ი, თავის ძმასავით, შეუდგა ქართულის ენის შესწავლას, რათა ინგლისის საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, რომელსაც დასავლეთი ევროპა, მეტადრე ინგლისი, კარგად ვერ იცნობს. ეს ქალი ისე გულმოდგინედ ჰშრომობს და შედარებით მცირე ხნის განმავლობაში იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომელსაც ევროპიელები ადვილად სწავლობენ,— რომ უკვე გადათარგმნა ინგლისურს ენაზედ „ქართული სახალხო არაკები“, ვლ. აღნიაშვილისა, ცალკე წიგნად გამოცემული 1891 წელს. ეს არაკები ამ ახლო ხანში დაიბეჭდება ინგლისურს ენაზედ. ამავე ქალს გადათარგმნილი აქვს თითქმის ერთი მესამედი მე-XII საუკ. ქართველთა უკვდავ პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნისა“.

## დამაკვირდი

სახელმწიფოთ კანონების ისტორია კაცობრიობის ჭკუა-გონების ისტორიაა; ბრძოლათა და ომების აღწერა-კი ისტორიაა კაცობრიობის უგნურებისა.

**

მხოლოდ ცხოვრების ბინდში გუნდის დროს ჰკაშკაშებს მნათობი მეგობრობისა; ბედნიერების შარავანდედი აჩრდილებს მის სინათლეს.

ე. შუტცი

**

ცოდნას უვიცობის მეტი სხვა მტერი არა ჰყავს.

ფრანგული ანდაზა

## ნაწყვეტი

მიჰქრნენ, დაბნელდნენ უეცრად
მთვარე-ვარსკვლავნი ცისანი,
რა დაინახეს სხივები
ამომ ვალის მზისანი.
მსგავსადვე იმალებიან
მტერნი პატარა ჭკვისანი,
როცა ხალხს ევლინებიან
დიდის ჭკვა-ბუნებისანი.

## კორესპონდენცია

**ქარელი,** 14 იანვარს. დიდს გაჭირვებაშია ამ ჟამად ჩვენის სოფლის მკვიდრი. არ მოვსწრებივართ ჯერ ასეთს საზოგადო ჭირნახულის ფასის დაცემას და უმუშტრობას. აქაურ მცხოვრებთა თავადია თუ გლეხი, ერთად-ერთი წყარო ათას გვარის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ჭირნახულია და აქაც ასე გვღალატობს ბედი. ვაი მოუსავლობაა ჭირნახულისა, და ვაი კიდევ მოსავლობაა, თუ მართლა ყოველი მიწად მშრომელი სოფლის კაცი თავის წლითი-წლობით ნაწვავ-ნადაგს და ოფლჩაღვრილს, ერთ ორიოდ კოდს ჭირნახულს ველარ გაასაღებს და გაჭირების დროს ვერ გამოიყენებს. ეს გარემოება სწორედ რომ სამწუხაროა და მშრომელთათვის დიდად გულის გამტეხი.

ჯერ კიდევ კალოს ლეწვა არ გათავებულიყო, რომ ჭინახულის ფასმა შესამჩნევად მოიმატა ფასი, თითქმის გასაოცრად მივვაჩნდა; ჭირნახულის ვაჭარი იმდენი მოაწყდა ჩვენს სოფელს რომ მეტი აღარ შეიძლებოდა; გვიკვირდა მათი ისე მუსრად მოდება, და ერთის ვაჭრისაგან მეორე ვაჭრისადმი ცილობა, თუ ერთი იძლეოდა 90 კაპ. ფუთ ხორბალში, მეორე პირველის ჯიბრით მანეთს უხდიდა გამყიდველთ. ქერიც ძალიან კარგს ფასად იყო, ოთხ აბაზად ფასობდა და კიდეც იყიდებოდა.

რასაკვირველია, ვინც-კი მოასწრო იმ ხანად და თავის ჭირნახული გაყიდა, არ მოსტყუვდა, და კიდეც მოიგო; ხოლო ვინც არ გაყიდა, და იმედი ჰქონდა, რომ თავის დროზედ უფრო მეტს ფასს აიღებდა, იმან დაიცადა და ამ დაცდით ბევრიც წააგო. ბევრმა დავიცადეთ უფრო იმ მიზეზით, რომ მუდამ ხან გაზეთებიდგან და ხან გაგონებით ისმოდა, რომ ჭირნახული ვითომ საზოგადოდ თავის დროზედ ძალიან გაძვირდებოდა; ამის ნიშნებს ვხედავდით კიდეც. იმ თავითვე იმოდენმა ვაჭრის მოსვლამ და მუსუსათ მოდებამ დაგვარწმუნა და გულის-ხმაში ჩაგვაგდო და ვფიქრობდით, რომ ჭირნახული თანდათან უფრო, რაც ხანი გაივლიდა, მით ფასიც მოემატებოდა; ავდექით ამის გამო და ამ მომავალის იმედით, ვისაც გასაყიდი რამ გვქონდა მაგრად ჩავკეტეთ ბეღელამბრებში. ვაი რომ მწარედ მოვტყუვდით. ახლა რას ვხედავთ? ახლა იმას ვხედავთ, რომ ბევრის მძებნელმა ცოტაც დაჰკარგა. ჭირნახულმა იმ დღიდგან-კი აღარა მოიმატა-რა, უფროც დააკლდა, ასე რომ, რაც პირველად ფასი ჰქონდა, იმის ნახევარს ფასს დღეს აღარავინ იძლევა, ვაჭრები ვინც იყვნენ, მთლად წავიდწამოვიდნენ, და იმ დღიდგან დღემდის თვალითაც აღარავინ გვინახავს ჭირნახულის მომკითხი.

მოატანა საბრალო გლეხს ათას გვარმა სახემწიფომ და სასოფლო ხარჯთა გარდახდის დრომ და ის თქვენს მტერს დაადგეს დღე, რაც დღე დაადგა უიმისოდაც გაჭირვებულს გლეხს; საიდან შეიძლონ და მოახერხონ ამ სავალდებულო ხარჯის გარდახდა, თუ არ ისევ თავის ნაწვავ-ნადაგის ორიოდე კოდის ჭირნახულის მოსავლით, მაგრამ აქედანაც ისეთ გაჭირებაშია, რომ გაყიდვა უნდა, მყიდველი-კი არავინ არის; ხოლო თუ არის ვინმე ისევ ამ სოფლის ისეთი გაიძვერა ჩარჩ-წურბელანი არიან, რომელნიც მუდამ იმას ცდილობენ გლეხთა ცხოვრება გროშის ფასად იყიდონ და ხელთ ჩაიგდონ. თუ ჭირნახული არა აქვს გლეხს და გაჭირვებულმა აქაურს წურბელას მიჰმართა ფულის სასესხებლად, ნუ გგონიათ ისეთის სინიდისიანის სარგებლით ასესხოს, რომ ღვთისაგანაც მოსაწონი იყოს და კაცისაგანაც. სულ რომ ცოტა ვსთქვათ, თუმანზე თვეში მანეთ ნაკლებ სარგებელს არა სჯერდებიან, ან თუ ფულად სარგებელს ვერ მისცემს გლეხი, ჭინახულად ხომ თვეში კოდი სიმინდი ან ქერი უნდა გადაიხადოს. ამის დამსწრე და მნახველი მე თვითონაც ბევრჯელ გხლებივართ. ასეთ ულმერთო სარგებელს ართმევენ აქაურნი ჩარჩნი და მით თითქმის ჰყვლეფენ ხალხს.

არ ვიცით, რა არის მიზეზი, რომ ასეთი უმუშტრობაა ამ ჟამად ჭირნახულისა და ვაჭარი აღარსად აღარა სჩანს. ეს-კია, რომ რაკი ვაჭრები არა სჩანან, ლამის აქაურმა ჩარჩებმა ჩაიგდონ ხელში სოფლის მოსავალი. მერე სულ ჩალის ფასად—ან იყიდიან კოდს ექვს აბაზად (კოდი რვა ჩანახია) და ისიც რა ზომის ჩანახით, იქნება ბევრმა არც-კი იცოდეს. მათი სავაჭრო ჩანახი ოც-და-ათ გირვანქაზედ ნაკლები აღარ არის. აბა თქვენ იფიქრეთ, ასეთის გაიძვერა ვაჭრების ხელთ ჩავარდნილი საბრალო გლეხი რა წარმატებას უნდა-და მოელოდეს ცხოვრებაში?

ახლა ახალის ნაცვლის ჯამაგირის აკრეფაში არიან ჩვენში და დიდს გაჭირვებასაც ითმენენ ფულის გამომღებნი.

ამ ჟამად ჩვენსკენ საშინელი ყინვებია, და იმედი აღარა გვაქვს თუ კვლავინდებურად გადურჩეს დაუმარხავად ვაზი და ნორჩი ნამყენი ხეხილი, ამასთან ათას გვარი ავადმყოფობაა გახშირებული: მჭვალი, სურდო-ხველა, და სხვ. მაგრამ ჯერ ღვთით, ვნება-კი არა აქვს-რა.

ჩვენს სოფელში ერთ დროს ფარნები გვქონდა, რომელიც თვით ჩვენ, ციციშვილებმა, ჩვენისავე ფულით დავდგით ყოველ ქუჩებში, და ძალიანაც გვასიამოვნებდა ყოველ ბნელსა და ავდრიანს ღამეში, მაგრამ ზოგი მთლად ვიღაც ბოროტის ხელმა ღამით ჩაგვილეწა, და ზოგიც აქაურმა ზოგიერთმა თავადებმა დაჰგლიჯეს და თავიანთი ეზო-ბაღები გაიჩაღეს.

იასონ დავითის ძე ციციშვილი

## წერილი რედაქციის მიმართ *)

კიდევ მოაკლდა ერთი მნათობი ქართულს მწერლობას. აღარა გვყავს ალექსანდრე ყაზბეგი—ავტორი „ელგუჯასი“ „მამის მკვლელისა“ „მოძღვრისა“

*) თუმცა ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ მაინც გთხოვთ ამ ჩვენს სამძიმრის წერილს ადგილი მისცეთ თქვენს გაზ. „ივერიაში“.

— მაინც?

— გუშინ ღამ გამქურდეს ვიღაც ოჯახ-ამოწყვეტილებმა! ვაცნობე ჩვენ მამასახლისს, მაგრამ ყური არ მიგდო. სოფლის ამორჩეულ კაცებსაც ვუთხარი, მაგრამ არც იმათ მიიღეს ჩემი საჩივარი. სოფლის განაჩენით, თუ ქურდი ვერ აღმოაჩინეს, უნდა სოფელმა ვზღოთ ყველა დანაკარგი... მეც ბევრჯელ მიმიცია სხვის დანაკარგის საზღაური და, მე-კი, არ ვიცი, რად მითხრეს უარი! გიახელ, უფროსს უნდა მოვახსენო.

ამ ლაპარაკში დერეფნის კუთხიდამ ბავშვის ტირილი შემომესმა... სწრაფლ მივტრიალდი და შემდეგი სურათი დავინახე: კუთხეში თავ-ჩაღუნული დედაკაცი იჯდა და გარს ოთხ-ოთხი ნახევრად ტიტველ-შიშველი ბალღები შემოესხა. ბავშვები დედას შესტიროდნენ და ეხვეწებოდნენ შინ წავიდეთო. მივუახლოვდი და დედაკაცსა ვკითხე:

— დედი, განა რა გაჭირებულს საქმეზედ მოსულხარ, რომ ეს პატარეებიც თან წამოგიყვანია?

— მა, რა ვუყო შენიჭირიმე, მიპასუხა ტირილით დედაკაცმა, გუშინ ჩვენის სოფლის გზირებმა ამიკლეს: შენზე ხარჯიაო! აბა შენ გენაცვალე, ამ საცოდავ ობლების პატრონს, ერთ საცოდავ ქვრივ-ოხერს რაღა აკლება მინდოდა? ჩვენს ბედობაზე ერთი საფენი და ერთი ხელი ლოგინი გვქონდა და ისიც წამართვეს! ხარჯის ფულში გაგიყიდითო! განა არ შემიბრალებენ? აი ობლებიც მოვიყვანე და, თუ სამართალს არ მომცემენ, ბარემ აქვე ხუთივეს ყელები დაგვჭრან... დედაკაცმა ტირილს უმატა. ბავშვებმაც დედის ტირილზედ უფრო ხმა მაღლა მორთეს ბღავილი.

— ნუ გეშინიან, დედი, გული გაიმაგრე! სამართალსაც მოგცემენ, შენ საფენ-ლოგინსაც უკან დაგიბრუნებენ, ვანუგეშე დედაკაცი...

— ნეტავი, თქვენის დღეგრძელობით, მაგრე იყოს...

— რას ელაპარაკები მაგ ქვრივს დედაკაცს, მხარზე ხელი დამადო და ღრეჭით მითხრა კარგა ჩასუქებულმა ვაჭარმა დათებამ.

— შენც აქა ხარ დათებ? მოვტრიალდი და ვკითხე ვაჭარს.

— რას იზამ!

— მერე, რა საქმეზედ გასჯილხარ?

— ვა, ჩემი ფიშქარი გამოვგზავნე პასპორტისთვის... არ მიუციათ, გასჯავრებიან... მეც მოველ, ერთი გავიგო, რა ამბავია-მეთქი, ხო იცი, ეხლა სხვანაირი დროა, შენ თითონ უნდა მიჰყვე შენს საქმეს. ახარ, მაშ რას იზამ?

რომ მეტი აღარ დაემლაშებინა დათებას, გასავალ კარებისაკენ გამოვბრუნდი. შიგ კარებში ნაცნობი ახალგაზდა კაცი დამხვდა და მისალმების უმალ ვკითხე:

— შენ რაღა გინდა კაცო აქა?

— მე მინდა და... წარმოდგენას ვაპირებთ და უნდა ნებართვა ავიღო. წარმოიდგინე, ეს მეორედ მოვდივარ. წელან ვიყავ, პირადა ვთხოვე და მითხრეს, თხოვნა ორის მარკით უნდა შემოიტანოო. აი ეხლა მარკებიც მოვიტანე. თხოვნა არ გვინდა, მარკები-კი გვინდაო!

— რას მასხარობ?

— რა მასხარაობაა! ასეა მეთქი.

გამოვედი გარედ, თავისუფალ ჰაერზე ერთი ღრმად ამოვისუნთქე და შინისკენ დავაპირე წასვლა. უცებ სამართველოს საიდუმლო ოთახიდამ ხმა მაღლა ლაპარაკი შემომესმა. ოთახის ფანჯარასთან მივახლოვდი და დავინახე, რომ ერთი გლეხი, უფროსის ლოდინით ილაჯ გაწყვეტილი, შესულიყო იქ და იქ მყოფთ ეკითხებოდა.

— ბატონო, ჩემი საქმე როგორ გახლავთ! დაბარებული გახლავართ და მიბძანეთ.

— რა საქმისა! რასა ჰბოდავ! შენ არ იცი, დაუკითხავად აქ შემოსვლა არ შეიძლება!

— მაპატიეთ, შენი ჭირიმე, ფეხზე დგომით მუხლებში წყალი ჩამიდგა. მიბძანეთ საქმისა რამე...

— რა საქმისა?

— აი, შენი ჭირიმე, ჩემი ვენახის თაობაზე. ოსკანა რომ მედავება!

— მერე თხოვნა გაქვს?

— აკი ერთხელ მოგართვით.

— კიდევ უნდა.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, დასაწერი ფული ერთხელ ძლივს ვიშოვნე და...

— საქმე წუწუნით არ გაკეთდება; ფული არა გაქვს,—ღვინო ხომ გაქვს?

— გახლავთ მაგრამ არ გამიყიდნია!

— როგორია შენი ღვინო, თეთრი თუ წითელი?

— თეთრი გახლავთ!

— ჰო და მეც სწორედ თეთრსა ვსვამ; ჰაშნიკი ხომ არ ამოგიტანია?

— აბა, ურმიან ქვევრს როგორ გავანაყიშებ, გასასყიდადა მაქვს მომზადებული.

— ამ ხალხს ვერას შეასმენ, მიუბრუნდა გლეხთან მოლაპარაკე თავის თანა მეკალმე მდივანს.

— რას მიბძანებთ, უპასუხა მდივანმა. განა ადვილია ამათთან ლაპარაკი! სწორედ რომ რეგვენი ხალხია! ბიჭო, ერთ ურემ ღვინოს ერთი გოზაური რომ დააკლო, რა სათქმელია განა?! საქმეც გაკეთდება და ჩვენც ხალისი მოგვეცემა.

შემზარა ამ სიტყვებმა, გამოვტრიალდი და გულ-ნატკენი გავუდექი ჩემს გზას.

ი. კახელი

და სხ. გსტირით უდროოდ მის გარდაცვალებას. გთხოვთ თქვენს მწუხარებას ჩვენი გულითადი მწუხარებაც შეუერთოთ. ჰანაშვიდი გადვიხადეთ.

მღვდელი იოსებ იაშვილი.
სოფ. ოზიანი (სიღნაღის მაზრა)
30 დეკ. 1893 წ.

## უცხოეთი

**იტალია.** სიმართლეს არ არის მოკლებული ამბავი ვენის ერთის გაზეთისა, რომ ვითომ კრისპის ჰსურს დიდი უფლებანი მოიხმაროს აწინდელ გაჭირვებულ მდგომარეობის ასაცილებლადაო. ეხლა გაზეთ „Temps“-ს აცნობებენ დეპეშით რომიდგან: როგორც აქ ხმა დადის, კრისპის განუზრახავს მოსთხოვოს უფლება ძირეულ ცვლილებათა შემოღებისა ექსის თვის განმავლობაში. მისის აზრით, უნდა გაუქმდეს ეს ამდენი სუპრეფექტურები, უნივერსიტეტები, უმაღლესნი სასამართლონი და სხვანი, რომელთა შენახვაც ქვეყანას ტვირთად აწვება. ამბობენ, რომ თუ პალატამ უარი განაცხადა, დათხოვნილი იქნებაო. ეს ალბად მუქარაა მარტო; ყოველ შემთხვევაში დაჭეშმარიტებით ვერავინ იტყვის, რომ პალატა მართლა უარს განაცხადებსო. მემარჯვენენი, რუდინის მეთაურობით, უეჭველია, დაეთანხმებიან კრისპის, ასევე მოიქცევა შუა დასი, რომლის ორი წარმომადგენელიც, ფერრარისი და სონინო, მინისტრებად არიან. უმწვერვალესი მემარცხენეთა დასი-კი დიდი წინააღმდეგი იქნება კრისპის აზრისა; იგი ემზადება კიდეც სამინისტროს გაკიცხვას სიცილიაში ხმარებულ სასტიკ ღონისძიებათა გამო და უნდა გაახსენოს, რომ შენ თითონ 1862 წელს წინააღმდეგი იყავი იტალიელ გენერლებისა, რომელნიც მაშინდელ მეამბოხეთ სასტიკად ეპყრობოდნენო.

აი, იტალიის გაზეთების სიტყვით, თვით კრისპის რა უთქვამს იტალიის აწინდელ მდგომარეობის შესახებ: სიცილიაში საქმენი კმა-საყოფელად მიმდინარეობს, მშვიდობიანობას არა არღვევს-რა და იარაღს იხსნიან. დაპატიმრებულს დეპუტატს დე-ფელიჩეს მართლაც ისა ჰქონდა განზრახვად, რომ პირქვე დაემხო მონარქია და სოციალ-დემოკრატული რესპუბლიკა დაარსებულიყო. საქმე ისკი არ არის, შეიძლო თუ არა თავისის სურვილის განხორციელება, არამედ ისაა, რომ ჰონდა ისეთი განზრახვა. ამისი საბუთებიც გვაქვს უკვე მოპოვებული. საფუძველი მაქვს ველოდდე პალატის მხრივ დახმარებას და შემწეობას, მაგრამ თუ იგი ყურს არ ათხოვებს გაჭირვებას დღევანდელის დღისას და არ მოისურვებს თავისის მოვალეობის ასრულებას, ქვეყანა შეიძლებს იმათს გონებაზედ მოყვანას და მოჭკვიანებას, რადგან დასთა ბრძოლის საქმე-კი არ არის ესა, არამედ ამაზედ არის დამოკიდებული თვით სახელმწიფოს არსებობის ავ-კარგიანობაო.

## გასართობი

ერთმა კაცმა, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო უცხო ქვეყნის ხელოვნებისა, გაიარა ერთ მშვენიერ სახლის წინ, შეხედა და წამოიძახა: ოჰ, რა მშვენიერი სახლია! უეჭველია უცხო ქვეყანაში იქნება აშენებულიო!

**

ერთი დამნაშავე, რომელსაც დარჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი, სთხოვდა მსაჯულს ნიკოლოოზ ბაკონს, მაპატიეთ დანაშაულიო, მაგრამ მსაჯულმა მისი თხოვნა არ შეასრულა. დამნაშავე ხელ-ახლად შეევედრა, სასჯელი მაინც შემიმსუბუქეთ, რადგან ნათესავად მოგხვდებითო.

— რითი დაამტკიცებთ, რომ ჩემი ნათესავი ხართ? ჰკითხა მსაჯულმა.

— თქვენ ბატონო, გქვიანთ ბაკონი, რაც ინგლისურად ნიშნავს ლორს, ჩემი გვარი-კი ნიშნავს ღორს და ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის დაარსების შემდეგ ღორი და ლორი ძალიან მახლობელნი არიან ერთმანეთისა?

— მართალიაო, უთხრა მსაჯულმა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მაშინ დავნათესავდებით, როცა სარჩობელაზედ ჩამოგკიდებთ, იმიტომ—რომ ღორი რიმდენიმე დღე მაინც უნდა იყოს დაკიდებული, რომ ლორად გაკეთდეს.

**

ერთმა გლეხმა საფრანგეთის საერო კრებას თავისი ქონების მეოთხედი ნაწილი შესწირა.

— რომ შეიძლებოდეს, მაგ ჩემის ქონების მაგიერ, ამ ჩემს ერთ-სულ და ერთხორცის ნახევარს შემოგწირავდით დიდის სიამოვნებითაო, სთქვა ამ გლეხმა და ხელი თავის ცოლისაკენ გაიწოდა.

## დეპეშა

13 იანვარი

**პეტერბურგი.** ხილეულობისა და ღვინოების გამოფენისათვის, რომელიც იქმნება გამართული პეტერბურგში შემოდგომაზედ, საქონლის გადასატანი ფასი შემცირებულ იქმნა ნახევრად.

გუშინ პირველი კრება ჰქონდათ რკინის გზის წარმომდგენელთა, სხვადა-სხვა საქონლის გადატან-გადმოტანის ფასის შემცირების თაობაზედ მოსალაპარაკებლად.

**ბერლინი.** ბერლინის მკვიდრნი დიდის ამბით უპირებდნენ დახვედრას თ. ბისმარკს, რომელსაც ხვალ მოელიან აქ, მაგრამ თვით თ. ბისმარკის თხოვნით და მისის ექიმის რჩევით ეს მზადება გადიდვა. რკინის გზის სადგურზედ ბისმარკს მიეგებება იმპერატორის ადიუტანტი, ოფიციალურად-კი არ დაუხვდებიან. ამას გარდა ავადმყოფობის გამო იმპერატორმა სთხოვა ბისმარკს, მეორე დღესვე დაბრუნდით სახლშიო.

**ბელგრადი.** დღეს კაბინეტი წარსდგა სკუპჩინის წინაშე. მინისტრების სალამს რადიკალები სიჩუმით დახვდნენ. სილიჩმა წაიკითხა კაბინეტის პროგრამა, რომელშიაც ნათქვამია, რომ კაბინეტი ყოველისავე დასის გარეშე იდგება და მოიშველიებს ყოველს მამულიშვილს, სულერთია, რომელ დასსაც უნდა ეკუთვნოდეს იგიო. რაკი მეფის ნდობა აქვს, იმედი ეძლევა, რომ ერის წარმომადგენელნიც მისნი დამხმარებელნი იქნებიან. დეპუტატმა პაპოვიჩმა ლაპარაკის ნება ითხოვა, მაგრამ სილიჩი მაინც იმ აზრისა იყო, რომ ჯერ სკუპჩინამ მეფის ბძანება უნდა მოისმინოსო. სკუპჩინამ ხმა-მაღლა გამოაცხადა ამისი წინააღმდეგობა და მოითხოვა, რომ პაპოვიჩს მიეცეს ნება ლაპარაკისაო. ამ უკანასკნელის წინადადებით, სკუპჩინამ ერთხმად უნდობლობა გამოუცხადა. მინისტრები საჩქაროდ გავიდნენ კრების დარბაზიდგან. შემდეგ სკუპჩინამ მოისმინა ბრძანება კრების გათავების შესახებ და დაიშალა.

14 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე დაინიშნენ.

სენატორი შამშინი დათხოვნილ იქმნა გამიჯვნის ნაწილის მმართველის თანამდებობიდგან. იმის ადგილას დაინიშნა სენატორი გორემიკინი სასჯულო საქმეთა მინისტრის ამხანაგის უფლებით; სენატის პირველ დეპარტამენტის ობერ-პროკურორი ბუტკოვსკი დანიშნულ იქმნა სასჯულო საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

**რომი.** კაზიმირ პერიეს განკარგულებით, იტალიის ელჩს მიეცა 420,000 ფრანკი ეგ-მორტში ამბოხების გამო დაზარალებულ იტალიელთა დასაჯილდოვებლად.

**ბელგრადი.** გრუიჩის კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომის თხოვნაში ნათქვამია: გუშინ თქვენმა უდიდებულესობამ, მოგვიწოდეთ მე და შინაგან საქმეთა მინისტრი და ხანგრძლივ ლაპარაკის შემდეგ კეთილ ინებეთ და გამოგვიცხადეთ, რომ მამა ჩემი დავიბარე აწინდელ მდგომარეობის გამოსარკვევად და დღეს უნდა ჩამოვიდესო. თქვენმა უდიდებულესობამ არ შეიწყნარა, ჩვენი ერთგული ქვეშევრდომული რჩევა, რომ არ მოქცეულიყავი ეგრე, რადგან მამითქვენის მოსვლა კანონს არღვევსო და ესეც არ იყოს, ერთი ისეთი წინააღმდეგია, რომ შეიძლება მაგას ცუდი და საუბედურო შედეგი მოჰყვეს სერბიისა და თქვენის ტახტისათვისაო. მივიღეთ რამხედველობაში, რომ ქვეყნის საპოლიტიკო მდგომარეობა სრულიად ნათლადა სჩანს და სახელმწიფო საქმენი კონსტიტუციის თანახმად მიმდინარეობს დი რომ თქვენის უდიდებულესობის გარდა, მთავრობასთანა და ერის წარმომადგენელებთან ერთად, სხვა ვერავინ იმოქმედებს სახელმწიფო საქმეების მიმდინარეობაზედ, კაბინეტი ვერ იკისრებს პასუხის-გებას ამ თქვენის უკანასკნელის გარდაწყვეტილებისას და გთხოვთ განგვათავისუფლოთ სამსახურიდგანაო.

15 იანვარი

**პეტერბურგი.** გადაწყვეტილია გაძლიერებულ იქმნას მუშაობა ვოლგას რუსხმულის გასაწმენდად უფრო სარატოვს ახლოს.

**მოსკოვი.** ვიქტოროვს, რომელმაც მოჰკლა პიმენოვის ქალი, აჰკუწა და ბაღაჟით გაჰგზავნა ბრესტს, კატორგაში გაგზავნა გადუწყვიტეს უვადოდ.

**ბერლინი.** დიდის ამბით მიიღეს დღეს ბერლინში ჰამბურგიდამ მოსული თავადი ბისმარკი. მატარებელი გვირგვინებით იყო შემკული. სადგურზე მიეგებნენ და გულითა და სულით სალამი მისცეს იმპერატორის ძმამ ჰენრიხმა და სხვა მოხელეთა. ხალხი აღტაცებაში იყო და მის ეტლში ყვავილებს ისროდა. სასახლეში ბისმარკს გულ-წრფელად მიესალმნენ იმპერატორი და იმპერატრიცა. სასაუზმოდ სუფრა მხოლოდ სამისთვის იყო გაშლილი. პატარა ხანს შემდეგ მეფე-დედოფალი და ბისმარკი აივანზედ გამოვიდნენ. ხალხმა დიდი პატივი სცა. პარლამენტისა და პრუსიის სეიმში აღტაცებით სავსე სიტყვანი იქმნა წარმოთქმული ამ ამბის გამო, საღამოს 7 საათსა და 10 წუთზე იმპერატორი და ბისმარკი ერთის ეტლით გამოვიდნენ სასახლიდამ. წინ მოუძღოდა საპატიო მცველთა რაზმი. სიმრავლე ერისა აღტაცებით აძლევდა სალამს. სახლები მშვენივრად იყო გაჩირაღდნებული. თ. ბისმარკი გამოეთხოვა იმპერატორს ლეპტის ვაგზალზე. იმპერატორმა სადარბაზო ვაგონამდე მიაცილა ბისმარკი, გულიანად ჩამოართვა ხელი და რამდენჯერმე გადაეხვია. იმპერატორმა რამდენიმე სიტყვა უთხრა გრაფ ჰერბერტ ბისმარკს და მერე ისევ თავადს ბისმარკს მიჰმართა, რომელიც ამ დროს ვაგონში იდგა ფანჯარასთან ქუდ-მოხდილი. ხალხი ჰყვიროდა „Hoch“ და სიმღერით ამბობდა „Deutschland Ueber Alles“. როცა მატარებელი დაიძრა, ხალხის აღტაცებამ კიდევ იფეთქა. თავადი იღიმებოდა და ზრდილობიანად თავს უკრავდა ხალხს.

**ბელგრადი.** ხალხმა მოიყარა თავი სასახლის წინ. უფრო ბევრნი იყვნენ მოსწავლე ახალგაზდანი. გაიარეს და იძახდნენ „Живіо уставъ“. ცხენოსანმა ჟანდარმებმა გაჰფანტეს მანიფესტანტები; ხალხი დაიშალა და თან მაინც ჰყვიროდა „გაუმარჯოს კონსტიტუციას და ერის წარმომადგენელთ“! ქუჩა-ქუჩა შეიარაღებულნი დარაჯნი დადიან.

პეტერბურგის ბირჟა, 11 იანვარი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| რუსთ-მანათიანი ოქრო | 7,37 | | 7,40 | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $147^1/_4$ | | 148 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — | , | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | ,, | — | ,, | 240 | |
| —მეორისა | | | — | ,, | 225 | |
| 4°/₀ მესამე სესხისა | -- | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — | ,, | — | ,, | $189^3/_4$ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| 6°/₀ | $100^3/_4$ | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ | $98^1/_4$ | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ | $100^3/_4$ | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ | $98^1/_4$ | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^1/_4$ | | — | ,, | — | ,, |


## განცხადებანი

ქ. ქუთაისში ახალი წიგნის მაღაზია ვ. ბეჟანიშვილისა. ალექსანდრეს ქუჩაზე, ქალაქის ბაღთან, ანდრონიკოვის სახლებში გავმართე ახალი წიგნის მაღაზია, სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული

**წიგნები**

და აგრეთვე საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები. (5—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა | „ | 50 |
| ვისრამიანი | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა | „ | 15 |
| ქილილა და დამანა | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა | „ | 20 |
| მეველე, მისივე | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა | „ | 20 |
| რავდენიმ მოთხრობა მისივე | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა | „ | 10 |


Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Января 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე